პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თბილისი

# კომუნისტური განათლება

სსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

21 დეკემბერი, 1937 წ. № 119 (419). ფასი 10 კაპ.

## საგანგებო კომისია—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო—შინსახკომის 20 წლისთავი

# მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა დაზვერვის სახელოვან მუშაკებს!



ფ. ე. ძერჟინსკი

## სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო—შინსახკომის ოცი წლისთავისათვის

სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია - გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო—შინსახკომის 20 წლისთავის დღეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან შინსახკომის მუშაკებსა და მეომრებს, რომლებიც პატიოსნად და თავდადებით ასრულებენ თავის მოვალეობას საბჭოთა ხალხის წინაშე შპიონაჟთან, მავნებლობასთან, დივერსიასთან ბრძოლის საქმეში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი უსურვებენ შინსახკომის მუშაკებსა და მეომრებს სრულ წარმატებებს მათს მუშაობაში ხალხის მტრების ამოსაფხვრელად.

გაუმარჯოს შინსახკომს, რისხვას საბჭოთა ხალხის მტრებისათვის!

სსრ კავშირის სახკომსაბჭო

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი



ნ. ი. ეჟოვი

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—სახელმწიფოებრივი უშიშროების გენერალური კომისარი

★

## 20 წელი რევოლუციის სადარაჯოზე

მარქსიზმ - ლენინიზმი გვასწავლის, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისათვის საჭიროა მუშათა კლასის მაგარი და მძლავრი დიქტატურა, რადგან ექსპლოატატორთა დამხობით მათი წინააღმდეგობა არა თუ სუსტდება, არამედ კიდევ უფრო მეტად ძლიერდება.

ჩვენმა რევოლუციამ ამ დებულების სისწორე ცხადად დაამტკიცა. დიდი ოქტომბრის მეორე დღესვე რევოლუციამ მტრების შესამუსრავად ლენინის მითითებით შექმნა თავისი საგანგებო კომისია. ეს იყო 20 წლის წინად, 1917 წლის 20 დეკემბერს.

საგანგებო კომისიამ მალე გაითქვა სახელი რევოლუციის მტრებთან შეუპოვარი ბრძოლით, პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა დაცვით. ჩეკისტი — ეს სიტყვა მალე ყველაზე საშინელ სიტყვად იქცა კლასობრივი მტრებისათვის; ჩეკისტი — ეს სიტყვა მალე ყველაზე თავზარდამცემ, ყველაზე საძულველ სიტყვად გადაიქცა მათთვის, ვისთვისაც პროლეტარულ რევოლუციას მოაქვს ლახვარი, ვისთვისაც პროლეტარულ რევოლუციას მოაქვს განადგურება; ჩეკისტი — ეს სიტყვა მალე ყველაზე საყვარელ სიტყვად გადაიქცა მუშებისა და გლეხებისათვის; ჩეკისტი— ეს სიტყვა ყველაზე მახლობელ, ყველაზე სათუთ სიტყვად გადაიქცა მათთვის, ვისთვისაც პროლეტარულ რევოლუციას მოაქვს ბედნიერება, სიხარული, საამური ცხოვრება.

ლენინ - სტალინის პარტიის მიერ გამოზრდილ მამაც ჩეკისტებს სათავეში ედგა რევოლუციის დიდი რაინდი ფელიქს ძერჟინსკი. მამაცი ძერჟინსკელები მუსრს ავლებდნენ რევოლუციის ყველა მტერს — უცხოეთის დაზვერვის აგენტებს, ტერორისტებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს.

სახელოვან ჩეკისტთა ტრადიციები განაგრძეს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მუშაკებმა; სახელოვან ჩეკისტთა ტრადიციები განაგრძეს ჩვენმა შინსახკომელებმა. საგანგებო კომისია —გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო — შინსახკომი 20 წელია სტალინურად იბრძვის უცხოეთის დაზვერვის აგენტების — ტროცკისტულ - ბუხარინული არამზადების, ჯაშუშების, მავნებლების წინააღმდეგ. განსაკუთრებულ წარმატებას საბჭოთა დაზვერვამ მიაღწია უკანასკნელ ხანებში, მას შემდეგ, რაც პარტიამ შინსახკომის სათავეში დააყენა დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფე ამხანაგი ნ. ეჟოვი. „დაე, ძრწოდეს ყველა ჯაშუში, დივერსანტი და მკვლელი, საბჭოთა დაზვერვა გვიჩვენებს, თუ რა შეუძლია მას“ („პრავდა“).

ჩვენი ქვეყანა 16 წელია სარგებლობს მშვიდობიანი შრომის სიკეთით. ამ ხნის განმავლობაში ძირფესვიანად შეიცვალა ქვეყნის სახე. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით სოციალიზმმა გაიმარჯვა მეურნეობისა და ცხოვრების ყველა დარგში.

ამ ბუმბერაზულ გამარჯვებებში დიდია საგანგებო კომისიის — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს — შინსახკომის როლი. შინსახკომი წარმოადგენს მუშათა კლასის ამოწვდილ მახვილს მტრების გასაგმირავად, მშრომელთა დასაცავად.

მხურვალე სალამი სახელოვან შინსახკომელებს!

სალამი შინსახკომის სტალინურ ხელმძღვანელს ამხანაგ ნ. ეჟოვს!

## რევოლუციის ფხიზელი გუშაგი

დღეს სრულდება სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს — შინსახკომის არსებობის 20 წელი. ოცი წლის წინათ, 1917 წლის 20 (7) დეკემბერს, ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად.

სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისია შეიქმნა ამხანაგ ლენინის ინიციატივით.

სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნის დეკრეტის მიღების წინ ვ. ი. ლენინი სწერდა ამხანაგ ფელიქს ძერჟინსკის:

„ბურჟუაზია, მემამულეები და მთელი მდიდარი კლასები ძალღონის თავგანწირული დაძაბვით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ რევოლუციას, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს მუშების, მშრომელების და ექსპლოატირებული მასების ინტერესები.

ბურჟუაზია სჩადის უბოროტეს დანაშაულობებს, ქრთამავს რა საზოგადოების ნაძირალებს და დაცემულ ელემენტებს, ათრობს რა მათ პოგრომების მოხდენის მიზნით. ბურჟუაზიის მომხრეები, განსაკუთრებით დიდი მოსამსახურეები, ბანკის მოხელეები და სხვ. იწვევენ მუშაობის საბოტაჟს, აწყობენ გაფიცვებს, რათა ძირი გამოუთხარონ მთავრობას და მის ზომებს, რომლებიც მიმართულია სოციალისტური გარდაქმნათა განხორციელებისაკენ. საქმე საბოტაჟამდეც კი მიდის, რაც შიმშილს უქადის მილიონობით ადამიანებს.

საჭიროა კონტრრევოლუციონერებთან და მისაბოტაჟეებთან ბრძოლის საწრაფო ზომები“. (ლენინი, ტ. 22 გვ. 126).

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისთანავე დამხობილმა ექსპლოატატორულმა კლასებმა, რომლებიც მოქმედებდნენ უცხოეთის დიპლომატიურ მისიებთან ერთად და მათი ფულით ხელი მიჰყვეს შეთქმულებათა მოწყობას, ჯაშუშური ორგანიზაციების შექმნას, ლიანი ყველაფერს აკეთებდნენ რევოლუციისათვის ძირის გამოსათხრელად.

პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც ჯერ კიდევ წელგაუმაგრებელი იყო, შინაური და გარეული კონტრრევოლუციის კონტრრევოლუციურ განზრახვათაგან რევოლუციის დასაცავად ბოლშევიკურმა პარტიამ შექმნა სპეციალური ორგანო — სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისია. სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიას დაეკისრა ამოცანა — გამოემჟღავნებინა და ძირშივე აღმოეფხვრა ხალხის მტერთა ყველა და ყოველივე კონტრრევოლუციური და საბოტაჟური ცდები.

რევოლუციის დაცვის პასუხსაგები და საპატიო ამოცანა სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს — შინსახკომის ორგანოებმა ღირსეულად შეასრულეს.

სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისიის სათავეში პარტიამ დააყენა ოქტომბრის გმირი, პარტიის ერთგული შვილი, ლენინისა და სტალინის თანამებრძოლი — რკინის, მოუდრეკელი რევოლუციონერი ფელიქს ძერჟინსკი. ბურჟუაზია არ იცნობდა ძერჟინსკის სახელზე უფრო საძულველ სახელს. ძერჟინსკისას, რომელიც ფოლადისებური ხელით იგერიებდა პროლეტარული რევოლუციის მტრების დარტყმებს. ბურჟუაზიის რისხვა — აი რა იყო ფელიქს ძერჟინსკი. ასე შეაფასა ამხანაგ ძერჟინსკის როგორც ხელმძღვანელის როლი ამხანაგმა სტალინმა. ძერჟინსკის მეთაურობით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია შეიქმნა პროლეტარიატის დიქტატურის ბასრი, ყოვლისავე შემმუსრველი იარაღი.

სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისია „მარჯვედ და აუცდენლად ურტყამდა რევოლუციის მტრებს“, ის იყო „ბურჟუაზიის რისხვა, რევოლუციის ფხიზელი გუშაგი, პროლეტარიატის ამოწვდილი მახვილი“ (სტალინი).

ოცი წლის ისტორია სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს — შინსახკომის ბრძოლისა შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციასთან არის გმირული ისტორია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლისა უცხოეთის დაზვერვათა მრავალრიცხოვან შეთქმულებებთან და ამ დაზვერვათა სამსახურში მყოფ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან ჩვენი ქვეყნის შიგნით; ეს არის ისტორია შეუწყვეტელი ბრძოლისა მრავალრიცხოვან ჯაშუშებთან, დივერსანტებთან, რომელთაც უცხოეთის მზვერავი ორგანოები გზავნიან ჩვენი ქვეყნის ზურგში; ეს არის ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, ჩვენი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობე-

(დასასრული მე-2 გვერ.)

## დადგენილება
### სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა
### სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-55 მუხლის საფუძველზე **ადგენს**:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1938 წლის 12 იანვარს ქ. მოსკოვში.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 19 დეკემბერი.

# რევოლუციის ფხიზელი გუშაგი

ბის ფხიზელი დაცვა სოციალისტური საკუთრების მავნებელთა და მტაცებელთაგან; ეს არის დაძაბული ბრძოლა საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დიდ ბრძოლებში მსოფლიო იმპერიალიზმთან, ადამიანთა საზოგადოების ნაძირალებთან — ტროცკისტულ-ბუხარინულ ფაშისტურ აგენტებთან, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობიანობისა და სოციალიზმისათვის — სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიას — გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს — შინსახკომს უაღრესად საბრძოლო პოზიციები უჭირავს.

მთელმა საბჭოთა ხალხმა იცის, რომ სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის გარეშე ჩვენ სამოქალაქო ომში ვერ გავიმარჯვებდით, რომ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს — შინსახკომის გარეშე ჩვენ ვერ დავიცავდით სოციალისტური მშენებლობისათვის აუცილებელ პირობებს. სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენს დამსჯელ ორგანოებს რომ თავგანწირული ბრძოლა არ ეწარმოებინათ ხალხის მტრებთან. სამოქალაქო ომის წლებში ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიისა და იაპონიის იმპერიალისტები გარს შემოერტყნენ ჩვენს ქვეყანას თავიანთი ინტერვენციონისტული არმიებით, ჩვენი ქვეყნის ზურგში კი, ფრონტის ახლო მდებარე ზოლში ისინი აბამდნენ შეთქმულებათა ქსელს, აპრავლებდნენ ჯაშუშებსა და დივერსანტებს.

საბჭოთა რუსეთს ერთსადაიმავე დროს მოუხდა შეიარაღებული ბრძოლის გაწევა ფრონტებზე და დაუცხრომელი ბრძოლისა შეთქმულებთან და ჯაშუშებთან ზურგში. ამ ბრძოლაში გმირული ამოცანა შეასრულა რევოლუციის ერთგულმა გუშაგმა — სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიამ.

ფ. ე. ძერჟინსკის ხელმძღვანელობით სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიამ აღმოაჩინა და გაანადგურა ინგლისელი მზვერავის და პროვოკატორის ლოკარტის დიდი შეთქმულება. ეს შეთქმულება, რომელშიც უცხოეთის თითქმის ყველა მისია ღებულობდა მონაწილეობას, მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყება მოეწყო და ხელში ჩაეგდო მოსკოვი, დაეპატიმრებინა სრულიად-რუსეთის ცაკი და მოეკლა პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადი—ლენინი.

ლოკარტი ტროცკისა და ბუხარინის გამცემლობაზე ამყარებდა იმედს. იგი ინგლისის მთავრობასთან იხილავდა საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ესარგებლნათ ბრესტის პერიოდში პარტიის ლენინურ-სტალინური ხაზის წინააღმდეგ ტროცკისა და ბუხარინის ბრძოლით.

1919 წელს ინგლისის ოხრანკა ცდილობდა მოეწყო დიდი შეთქმულება, რომელიც გათვალისწინებული იყო იუდენიჩისათვის პეტროგრადის ჩასაბარებლად. შეთქმულების სათავეში იდგა მეორე ინგლისელი პირწავარდნილი ჯაშუში პოლ დიუკსი.

ეს უდიდესი შეთქმულება აღმოჩენილ იქნა ამხანაგ სტალინის მეცადინეობით, რომელიც ხელმძღვანელობდა ლენინგრადის დაცვას.

სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიამ დაამსხვრია ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის გეგმები. მან ლიკვიდაცია უყო სამხედრო შეთქმულებით ორგანიზაციებს „სამშობლოს და თავისუფლების დაცვის კავშირს", „აღორძინების კავშირს", „ნაციონალურ ცენტრს", „ტაქტიკურ ცენტრს" და სხვებს, რომლებიც მთლიანად უცხოეთის დაზვერვათა სამსახურში იყვნენ.

დამსჯელმა ორგანოებმა აღმოაჩინეს დანაშაულებრივი მუშაობა გერმანიის დაზვერვისა, რომელიც დაეხმარა თეთრგვარდიელთა არმიების შედგენას, ამარაგებდა მათ ფულით. გერმანიის მაშინდელი საელჩო პირობით ეკვროდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის „მემარჯვენეთა ცენტრის" ხელმძღვანელობას გერმანელების მიერ მოსკოვის ოკუპაციის შესახებ. სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიამ დაამსხვრია გერმანიის დაზვერვის საზიზღარი გეგმები და გაანადგურა „მემარჯვენეთა ცენტრი".

გაცხარებულ საქმიანობას ეწეოდნენ პოლონეთისა და იაპონიის დაზვერვები, შექმნილი პილსუდსკის მიერ ჯაშუშური დივერსიული ორგანიზაცია „პოლსკა ორგანიზაცია ვოისკოვა" ჩვენს ქვეყანაში გზავნიდა ჯაშუშებსა და პროვოკატორებს. იაპონიის დაზვერვამ გაშალა აგრეთვე ძირგამომთხრელი მუშაობა და შეეცადა შეექმნა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს უბნებში თავისი ჯაშუშური, დივერსიული ორგანიზაციები. ყველაზე ძვირფასი განძი გამოდგა გერმანიის, იაპონიის, პოლონეთისა და სხვა დაზვერვათათვის პროვოკატორები და ჯაშუშები, რომლებიც მათ გადაიბირეს ტროცკისტებისა, ზინოვიეველებისა, ბუხარინელებისა და რიკოველებისაგან.

გერმანიის, იაპონიის და პოლონეთის დაზვერვების მიერ საბჭოთა კავშირში შემოგზავნილმა ზოგიერთმა ჯაშუშმა უკანასკნელ ხანამდე შეინახა თავი. ისინი სულ ცოტა ხნის წინათ გამოამჟღავნეს სახელოვანმა შინსახკომელებმა, რომელთა სათავეშიც დგას ბოლშევიკური პარტიის ერთერთი საუკეთესო შვილი—ნ. ი. ეჟოვი.

სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიამ გაანადგურა ესერების, მენშევიკების, ანარქისტების, კადეტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების ჯაშუშური, ტერორისტული და დივერსიული ჯგუფები, რომლებიც უცხოეთის დაზვერვათა დავალებით მოქმედებდნენ.

საბჭოთა ქვეყნის მტრებს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ფრონტზე გმირულმა წითელმა არმიამ და ასევე გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მათ ზურგში გმირულმა სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიამ. ამიტომ გავიმარჯვეთ ჩვენ სამოქალაქო ომში და შევინარჩუნეთ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომელნიც გარს არტყიან სსრ კავშირს, არ შეუწყვეტიათ თავისი ძირგამომთხრელი მუშაობა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ისინი განაგრძობდნენ ჯაშუშებისა და დივერსანტების გზავნას ჩვენში, აწყობდნენ შეთქმულებებს, მავნებლურ აქტებს და სხვ. უცხოეთის მზვერავი ორგანოები ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მავნებლობის მოწყობას სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე. „შახტელთა" კონტრრევოლუციური ორგანიზაციის, „სამრეწველო პარტიის", კულაკური კონტრრევოლუციონური ორგანიზაციის („ტკპ") არსებობის პირობებში ისინი ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ ჩაეშალნათ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რათა ამით უზრუნველეყოთ სსრ კავშირში იმპერიალისტური ინტერვენციის წარმატება, გამარჯვება, ინტერვენციისა, რომელიც იმპერიალისტების ვარაუდით უნდა მომხდარიყო 1930-31 წლებში.

## დასასრული

საბჭოთა დაზვერვა ახალ პირობებშიაც განაგრძობს რევოლუციის მტრების დაუზოგავად შემუსვრას, ჯაშუშების დაჭერას, შეთქმულთა მხილებას და განადგურებას, მავნებელთა, კონტრრევოლუციონერთა, დივერსანტთა მოსპობას, იცავს რა მუშათა და გლეხთა მშვიდობიან შრომას.

საბჭოთა დაზვერვისა და წითელი არმიის სიფხიზლემ უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნისათვის შესაძლებლობა შეესრულებინა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინურ-სტალინური გეგმა. მავნებელთა განადგურებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი დიდი ამოცანის გადაჭრაში, როგორიცაა ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების მომზადება მუშებისა და გლეხების წრიდან.

საბჭოთა დაზვერვამ დაუფასებელი დახმარება გაუწია კოლმეურნე გლეხობას კოლმეურნეობათა დაცვაში კულაკური კონტრრევოლუციისაგან, საკოლმეურნეო საკუთრების დაცვაში კულაკი მტაცებლებისაგან, კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციებისაგან, რომელნიც სოფლის მეურნეობის ფრონტზე მოქმედებდნენ. საბჭოთა დაზვერვამ თავისი ბრძოლით კულაკური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ხელი შეუწყო დიადი საკოლმეურნეო მოძრაობის გამარჯვებათა განმტკიცებას.

არ არსებობს კლასობრივი ბრძოლის ისეთი უბანი, სადაც საბჭოთა



**ს. ა. გოგლიძე**

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი — სახელმწიფოებრივი უშიშროების მე-2 რანგის კომისარი

★

დაზვერვა არ ანადგურებდეს კლასობრივ მტრებს, იცავს რა საბჭოთა ხალხის ბედნიერებას და სოციალიზმის გამარჯვებებს.

ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს ფაშისტურ დაზვერვათა და მათ ტროცკისტულ-ბუხარინული აგენტურის გადამწყვეტ განადგურებას ჩვენი სახელოვანი შინსახკომის მიერ დიდი სტალინის თანამებრძოლისა და მოწაფის — ამხანაგი ნ. ეჟოვის მეთაურობით.

კონტრრევოლუციურ შეთქმულებათა ისტორიას არ ახსოვს სხვა ისეთი სისხლიანი დანაშაულობანი, ღალატი და გამცემლობა, როგორსაც მიმართავდნენ და მიმართავენ მშრომელთა მოსისხლე მტრები — ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები—ტროცკისტ-ბუხარინელ-რიკოველი ბანდიტები. ისინი აბსოლუტურად არაფერს არ თაკილობენ თავის გაავთრებულ სიძულვილში გამარჯვებული სოციალიზმის მიმართ, ბუხარინელ-ტროცკისტი ბანდიტები ფაშისტურ დაზვერვათა ყველაზე გამხეცებული და სისხლისმსმელი დაქირავებული აგენტები არიან, ისინი მოქმედებენ მათი ფულით, და მათი დავალებებით ამზადებენ ომს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ. ყველა ქვეყანაში ისინი ასრულებენ ფაშისტურ დაზვერვათა საზიზღარ სისხლიან დავალებებს. ამ ბანდების შემუსვრა გამანადგურებელი ლახვარია ფაშიზმისათვის.

შინსახკომი, ძირფესვიანად აღმოფხვრის და სპობს რა ფაშისტ მკვლელებს, იცავს სოციალიზმის მონაპოვართ, იცავს საბჭოთა ხალხის წმინდათა-წმინდა უფლებებს, რომლებიც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში, იცავს მშვიდობიანობის საქმეს, ამხილებს ომის ფაშისტ გამჩაღებლებს და დაუფასებელ სამსახურს უწევს ყველა ქვეყნის მშრომელთ. ამაშია ისტორიული დამსახურება შინსახკომისა, რომელსაც სტალინური სახკომი ამხ. ეჟოვი ხელმძღვანელობს.

საბჭოთა დაზვერვის ძალა და ძლიერება პროლეტარიატის დიქტატურის ძალასა და ძლიერებაშია. მისი უძლეველობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიან მასებთან, იმაში რომ, იგი მასებს ეყრდნობა. მას სიმამაცეს და ძალას აძლევს რევოლუციის ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულება, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება.

„მსოფლიოში არ მოიპოება არც ერთი სახელმწიფო, — ამბობდა ამხ. ეჟოვი სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1937 წლის 27 ივლისის სხდომაზე, — სადაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, დაზვერვის ორგანოები ასე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ხალხთან, ასე მკაფიოდ გამოხატავდნენ ამ ხალხის ინტერესებს, იდგნენ ხალხის მონაპოვართა სადარაჯოზე.

კაპიტალისტურ მსოფლიოში დაზვერვის ორგანოები მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებისათვის წარმოადგენენ სახელმწიფო აპარატის ყველაზე უფრო საძულველ ნაწილს, რამდენადაც ისინი ერთი მუჭა გაბატონებულ კაპიტალისტთა ინტერესების სადარაჯოზე დგანან. ჩვენში, პირიქით, საბჭოთა დაზვერვის ორგანოები, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები საბჭოთა ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგანან. ამიტომ ისინი სარგებლობენ მთელი საბჭოთა ხალხის დამსახურებული პატივისცემით, დამსახურებული სიყვარულით".

ლენინი და სტალინი გამუდმებით მოაგონებდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კაპიტალისტური გარემოცვის საშიშროებას. ლენინი და სტალინი ყოველთვის ასწავლიდნენ პარტიას, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს და გლეხობას, რომ საჭიროა მუდმივი სიფხიზლე, რომ მტრები მოსვენებას არ მისცემენ სსრ კავშირს. ლენინი ამბობდა, რომ „დავაფასებთ და გამოვიყენებთ ისეთ დაწესებულებას, როგორიცაა სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია. ამის გარანტია ჩვენ შეგვიძლია მივცეთ ყოველსა და ყველას". ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ „სახელმწიფო პოლიტსამმართველო საჭიროა რევოლუციისათვის, და სახელმწიფო პოლიტსამმართველო იცოცხლებს ჩვენში პროლეტარიატის მტრების თავზარდასაცემად".

პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა სიფხიზლის გაძლიერების საქმეში დიდი როლი ითამაშა ამხანაგი სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე. ამხანაგმა სტალინმა მთელი სიმწვავით დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ მანამდე, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ბურჟუაზიული სახელმწიფოები განაგრძობენ მავნებლების, ჯაშუშების, დივერსანტების, მკვლელების გზავნას ჩვენში; რომ ტროცკიზმი—ეს არის მავნებელთა, დივერსანტთა, მზვერავთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდა, მუშათა კლასის შეურიგებელი მტრების ბანდა, რომელნიც მოქმედებენ როგორც უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოების მიერ დაქირავებულნი.

„რათა უშიშარვჰყოთ ჩვენი სამშობლო ამ საფრთხისაგან, — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი, მუშებისა, მუშაქალებისა, გლეხებისა და გლეხქალებისადმი, წითელი არმიისადმი, საბჭოთა ინტელიგენციისადმი, — საჭიროა გვყავდეს, ჯერ ერთი, კარგად ორგანიზებული დამსჯელი ორგანოები, რომელთაც შესწევთ უნარი გააუვნებელყონ ჯაშუშები, მავნებლები, დივერსანტები და საბჭოთა ხალხის სხვა მტრები".

ლენინ-სტალინის პარტიამ—საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლეს იმის მიღწევა, რომ ჩვენს სამშობლოს ახლა ჰყავს კარგად ორგანიზებული შემოწმებული დამსჯელი ორგანოები, რომელთაც შესწევთ უნარი გააუვნებელყონ საბჭოთა ხალხის მტრები.

საბჭოთა კავშირის ხალხებს ღირსების საქმედ მიაჩნდათ და მიაჩნიათ შინსახკომის ორგანოებისათვის დახმარების გაწევა მათს საპატიო მუშაობაში ჩვენი ქვეყნის გასაწმენდად უცხოელი მზვერავებისაგან, ჯაშუშებისაგან, ტროცკისტულ-ბუხარინული მძოვრებისაგან და ხალხის სხვა მტრებისაგან.

სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო—შინსახკომი იყვნენ და დარჩნენ პროლეტარიატის ამოწვდილ მახვილად, რევოლუციის ერთგულ დარაჯად, ბურჟუაზიის რისხვად. საბჭოთა დაზვერვა თავის პოსტზე დგას. მისი ოცი წლისთავი მრისხანედ მოაგონებს ყველა მტერს, რომ ყველა, ვინც ხელს აღმართავს სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ, აღგვილ იქნება პირისაგან მიწისა. მისი ოცი წლისთავი—ეს არის მოწოდება სიფხიზლის შემდგომი გაძლიერებისაკენ, ფაშიზმის უკლებლივ ყველა ტროცკისტ-ბუხარინელი დაქირავებული აგენტის მოსპობისაკენ.

უდიდეს გამარჯვებათა პირობებში აღნიშნავს ჩვენი სამშობლო სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს — შინსახკომის ოცი წლისთავს. ამ გამარჯვებებმა მკვეთრი გამოხატულება ჰპოვეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს იმ არჩევნების შედეგებში, რომლებიც სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგებმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ დიადი საბჭოთა ქვეყნის ხალხი გაერთიანებულია ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო და უსაზღვროდ ერთგულია დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. უზენაესი საბჭოს არჩევნებმა ცხადჰყო, რომ საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის საფუძველზე შეიქმნა კაცობრიობის ისტორიაში არნახული მორალური და პოლიტიკური ერთიანობა ხალხისა. საბჭოთა ხალხი უძლეველია.

სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს—შინსახკომის ოცი წლისთავზე მთელი საბჭოთა ხალხი თავის ბოლშევიკურ სალამს უთვლის სახელოვან შინსახკომელებს და მათ მებრძოლ ხელმძღვანელს — სტალინურ სახკომს ნ. ი. ეჟოვს და იძლევა მტკიცე დაპირებას, რომ მომავალშიაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შემუსრავს ყველა მტერს, რომელნიც ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა ქვეყნის მძლავრ, ძლევამოსილ სვლას კომუნიზმისაკენ. (საკდესი).

შოთა რუსთაველის იუბილეს წინ

# ჩვენი წვლილი

საქართველოს განსახკომის მითითებათა საფუძველზე ქ. სტალინირის ქართულმა საშუალო სკოლამ დროზე გაშალა მუშაობა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის იუბილეს ჩატარებისათვის. მასწავლებელთა, მშობელთა და, განსაკუთრებით, მე-8, 9 და 10 კლასების მოწაფეთათვის სკოლის დირექცია აწყობს აკადემიურ სესიას. წაკითხული იქნება მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: რუსთაველის ეპოქა, შოთა რუსთაველი და მისი მსოფლმხედველობა, მეგობრობა და მიჯნურობა, გმირობა და თავდადება, მთავარი ტიპები „ვეფხის-ტყაოსანში“, „ვეფხის - ტყაოსნის“ მხატვრულ - იდეური ღირებულება და სხვ.

დაწყებითი სკოლის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში მოეწყობა „ვეფხის-ტყაოსნის“ მოკლე შინაარსის შესწავლა. ამავე კლასებში პოემის შინაარსთან ერთად შეისწავლება რამდენიმე აფორიზმი, მასწავლებლები გადასცემენ ზოგიერთ ცნობას „ვეფხის-ტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ, უჩვენებენ პოემის ავტორისა და გმირების სურათებს.

არასრული საშუალო სკოლის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასებში „ვეფხის - ტყაოსნის“ შესწავლა იწარმოებს უფრო ფართოდ.

იუბილესთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია „ვეფხის - ტყაოსნის“ შემსწავლელი წრე. მოეწყობა მოსწავლეთა კონფერენცია, სადაც მოწაფეები ზეპირად იტყვიან პოემიდან მხატვრულ ადგილებს და აფორიზმებს, აქვე წაიკითხავენ ისინი საკუთარ რეფერატებს.

გამოიცემა სპეციალური ნომერი კედლის გაზეთისა და სასკოლო სალიტერატურო ჟურნალი, სადაც მოთავსდება კრიტიკული წერილები „ვეფხის - ტყაოსნის“ შესახებ, მოწაფეთა საკუთარი ლექსები და მთავარი გმირების სურათები.

სკოლა მოაწყობს საშეფო კოლმეურნეობაში მოხსენება - საუბრებს და საღამო-წარმოდგენას. ამავე სკოლის დრამწრის მიერ იუბილეს დღისათვის დადგმული იქნება პიესა „შოთა რუსთაველი“. მომღერალთა გუნდი იუბილეს დღისათვის ამზადებს სპეციალურ სიმღერებს „ვეფხის - ტყაოსნის“ ტექსტის მიხედვით. მოწაფეები, გარდა გუნდური სიმღერებისა, ინდივიდუალურად იმღერებენ ოპერა „შოთა რუსთაველიდან“ ამოღებულ ნაწყვეტებს.

**შ. კაჭარავა**

სტალინირის ქართულ საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

# სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში

1937 წლის 16 დეკემბერს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ სასამართლოს დახურულ სხდომაზე 1934 წლის 1 დეკემბრის კანონის თანახმად განიხილა საქმე ბრალდებისა გამო ა. ს. ენუქიძის, ლ. მ. კარახანის, ი. დ. ორახელაშვილის, ბ. პ. შებოლდაევის, ვ. ფ. ლარინის, ა. დ. მეტელევის, ვ. მ. ცუკერმანის და ბ. ს. შტეიგერის სამშობლოს ღალატში, ტერორისტულ საქმიანობასა და სისტემატიურ შპიონაჟში ერთერთი უცხო სახელმწიფოს სასარგებლოდ, ესე იგი დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის $58^{1}$-ა, $58^{8}$ მუხლებით.

ყველა ბრალდებულმა სავსებით სცნო თავი დამნაშავედ მათთვის წაყენებულ ბრალდებებში.

სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ბრალდებულ ა. ს. ენუქიძეს, ლ. მ. კარახანს, ი. დ. ორახელაშვილს, ბ. პ. შებოლდაევს, ვ. ფ. ლარინს, ა. დ. მეტელევს, ვ. მ. ცუკერმანს და ბ. ს. შტეიგერს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

# უნივერსიტეტი საიუბილეო დღეებში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი გაცხოველებით ემზადებიან უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის იუბილეისათვის.

23—24 დეკემბერს უნივერსიტეტში მოეწყობა სამეცნიერო სესია. სესიაზე მოსმენილი იქნება მოხსენებები: პროფ. კ. კეკელიძის—რუსთაველის ეპოქის შესახებ. პროფ. შ. ნუცუბიძის — რუსთაველის მსოფლმხედველობა. პროფ. ი. აბულაძის—რუსთაველი და „ვეფხის ტყაოსანი“, პროფ. ვ. ბერიძის — რუსთაველის ლექსი, დოც. მ. ჩიქოვანის — ხალხური „ვეფხის-ტყაოსანი“, პ. ინგოროყვას — „შოთა რუსთაველი“, პროფ. ალ. ბარამიძის — „ტარიელი“, დოც. ტრ. რუხაძის—„ვეფხის-ტყაოსნის“ გავლენა შემდეგი დროის ლიტერატურაზე, დოც. ს. იორდანიშვილის — „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანები უცხო ენებზე, დოც. პ. ბერაძე—„შაირის გამოყენების კანონზომიერება“.

ამას გარდა, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე მოეწყობა პოპულარული მოხსენებები შოთა რუსთაველის ეპოქასა და „ვეფხის-ტყაოსანზე“. პოპულარული მოხსენებები მოეწყობა აგრეთვე თბილისის წარმოებებ - დაწესებულებებშიც.

საიუბილეო დეკადის განმავლობაში სამეცნიერო მოხსენებანი ჩატარდება რაიონებშიაც, სადაც მივლინებული არიან პროფესორები: ალ. ბარამიძე — ქუთაისსა და ქიათურაში, ვ. ბერიძე — ბათუმში, ი. აბულაძე—თელავში, შ. ნუცუბიძე—სოხუმში, დოც. ტრ. რუხაძე—გორში, პ. ბერაძე—ფოთში, ს. იორდანიშვილი — სტალინირში, მ. ჩიქოვანი—ზუგდიდში.

საიუბილეო დეკადისათვის უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში იწყობა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება „ვეფხის-ტყაოსნისა“ და კლასიკური ეპოქის ლიტერატურული ძეგლების ხელნაწერები, ბეჭდვითი გამოცემანი „ვეფხის-ტყაოსნისა“, პოემის თარგმანები უცხო ენებზე, პორტრეტები და პოემის ილუსტრაცია, სამეცნიერო ლიტერატურა რუსთველოლოგიიდან სხვადასხვა ენაზე, ფოლკლორული მასალები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ და სხვა.

იუბილესათვის უნივერსიტეტის გამომცემლობა უშვებს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსთაველის ინსტიტუტის მიერ დამზადებულ საიუბილეო კრებულს, რომელშიც მოთავსებულია პროფესორების: ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის და იუსტინე აბულაძის, დოცენტების ტრ. რუხაძის, ს. იორდანიშვილის, პ. ბერაძის, გერონტი ქიქოძის, პავლე ინგოროყვას და მ. ჩიქოვანის შრომები რუსთაველის შესახებ.

**ივ. მარაქველიძე**

★



შ. რუსთაველი (ბარელიეფი)

პატარა ფელეტონი

# „ღვთის მოყვარე და ხელგაშლილი“

სოფელ ყარაჯალის (თელავის რაიონი) სკოლის დირექტორი აბდულ სოფიევი ბავშვობიდანვე ოცნებობდა „საიქიო ცხოვრებაზე“. რა გაეწყობა — ასე უანდერძა მას მამამისმა ალლარ მოლამ.

— აბდულჯან, აბა წავიდეთ „ალავერდობაში“, ეტყოდა ხოლმე მას თელავის რაიალმასკომის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე, ხალხის მტერი ქ. გეგელიძე და „ალავერდობაში“ ეს ორი განუყრელი მეგობარი დაუსრულებლად გადადიოდნენ ერთმანეთთან „ალავერდს“. „საგალობლად“ ყოველთვის მიჰყავდათ მოსწავლეები, რომლებიც შეზარხოშებული დირექტორის გასართობად ღიღინებდნენ საეკლესიო ჰანგებს.

„ღვთის“ სიყვარულით აღსავსე დირექტორმა, პატივცემულმა აბდულმა, კარგად იცის, რომ წერა-კითხვის ცოდნა, კულტურა და განათლება ძირითადად ეწინააღმდეგება „ღვთის კანონს“. ამიტომ, მან წელს ჯერ კიდევ იანვარში განათლების ყოფილ გამგესთან შეთანხმებით გასცა განკარგულება:

დაიშალოს სალიკვიდაციო სკოლა!

აღსრულდა. დარჩნენ წვევამდელები წერა - კითხვის უცოდინარნი.

ძალზე კეთილი ვინმეც ბრძანდება აბდული, მან 500 მანეთი უთავაზა საკუთარ სიძეს — ყურბანს, ვითომდა სექტემბრის ხელფასის ანგარიშში. რა ვუყოთ, რომ სიმამრის საყვარელი სიძე სექტემბერში ლაგოდეხის რაიონში მსახურობდა.

მისი გულკეთილობის დასამტკიცებლად მოვიყვანთ კიდევ „პატარა“ ფაქტს: სექტემბრის პირველ რიცხვებში მასთან გამოცხადდა მე-6 კლასის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი, რომლის წარმომადგენელმა მიმართა ხელგაშლილ სოფიევს:

— დირექტორჯან! აწი მაინც ბევრს ვერაფერს ვისწავლით, — მოდი, იწამე ღმერთი, და ბარემ მოგვეცი შვიდი კლასის დამთავრების მოწმობები, ერთი წელიწადი გინდ აქეთ ყოფილა, გინდ იქით.

რა თქმა უნდა, დირექტორმა აუსრულა მოსწავლეებს გულის წადილი, რისთვისაც მიიღო „საკონპენსაციო ჯილდო“, რომლის რაოდენობის შესახებ ისტორია სდუმს.

მაგრამ ხელგაშლილ ცხოვრებას რას ეყოფა ასეთი მცირეოდენი „ანაქაფები“, საჭიროა მეტი და მეტი, რომლის — „მოსამკელად“ დირექტორი ღრმად შეიჭრა სკოლის 2 — ჰექტარიან ყანაში: მოსავლის ნაწილი თავისთვის გადაინახა, ნაწილი კი მიჰყიდა მოკულაკო გლეხებს, რომელთაგან მიღებულ 1000 მანეთს ისევ „ალავერდობაში“ უქნა ყლაპი.

კიდევ... მაგრამ კმარა, ყარაჯალის სკოლის დირექტორის ბნელ საქმიანობის დანარჩენ კუნჭულებში, დაე, თელავის რაიონის განათლების განყოფილების ახალმა ხელმძღვანელობამ შეიხედოს.

დამწერი **ყარაჯლელი**
გადამწერი **მე.**

# გაკვეთილი გრამატიკაში

მეთოდური შენიშვნები

გრამატიკის შესწავლა განყენებული აზროვნების უნარს მოითხოვს. ეს უნარი თანდათან ვითარდება სწავლების პირველ წლებში. როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ 10-12 წლის ასაკში არის, ხანგრძლივი ინტელექტუალური მუშაობა არ შეუძლია, მისი ნებისყოფა განუვითარებელია, თვითდისციპლინა აკლია.

რა მხრივ მივიტანოთ ბავშვის შეგნებამდე გრამატიკული ცოდნა? რა მეთოდის საშუალებით შეგვიძლია ჩავაბათ ბავშვი სავრამატიკო მუშაობაში ისე, რომ ეს მუშაობა მისი სულიერი ცხოვრების განვითარების გზებსაც შეეფერებოდეს?

ამ მუშაობის გამოსავალ წერტილს უნდა შეადგენდეს კონკრეტულ ენობრივ ფაქტებზე დაკვირვება. ანგარიშის სწავლების დროს, როცა ბავშვი, ვთქვათ, ათის ფარგლებში თვლას სწავლობს და თვალსაჩინოებისათვის ჩხირებს მიმართავს, ეს უაღრესი კონკრეტულობაა. ენაში ამის საშუალება არ არის.. ამიტომ აქ კონკრეტული წარმოდგენის შექმნა დიდ გონებრივ დაძაბულობას მოითხოვს, პირველ გაკვეთილებზე უნდა ხდებოდეს დაკვირვება ისეთ სიტყვებზე, რომლებსაც ბავშვი ყოველდღიურად ხმარობს. ეს სიტყვები მისთვის ჩვეულებრივია, მათი შემადგენლობა, შინაარსი კონკრეტულია, მაგალითად: მაგიდა, წიგნი, კარი და სხვ. აქედან აშკარაა, რომ ენის დაკვირვებისათვის, უპირველეს ყოვლისა, გამოსადეგი იქნება ისეთი სახელები, რომლებიც უშუალო შთაბეჭდილებას ახდენენ ბავშვის ცნობიერებაზე და აღუძრავენ მას შესაფერ ემოციებს, რაც საფუძველია ინტელექტის მუშაობისათვის.

პირველ კლასში წერა-კითხვის სწავლებისათვის მოსამზადებელ პერიოდში ვაძლევთ ბავშვებს წარმოდგენას წინადადებასა, სიტყვასა, მარცვალსა და ბგერაზე. ეს ერთგვარ ნიადაგს უმზადებს საგრამატიკო მუშაობას. ყოველდღე ხმარობს ბავშვი ამ ტერმინებს და მათი შინაარსიც მისთვის ასე თუ ისე გარკვეულია. დაწყებითი სკოლის მუშაობა ენაში უმთავრესად ემპირიულ - პრაქტიკული ხასიათისაა. აქ წარმოებს ენობრივი ფაქტების ზოგადი დაკვირვება: წინადადება, როგორც დასრულებულად გამოთქმული აზრი, სიტყვათა დაჯგუფება მათი შინაარსობრივი მნიშვნელობის მიხედვით, სასვენი ნიშნების ხმარება არართულ შემთხვევებში, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია სიტყვათა დაჯგუფება კატეგორიებად: არსებითი სახელი, ზმნა. ზედსართავი სახელი. ნაცვალსახელი და სხვ. ეს მუშაობა აუჩქარებლად და დიდი დაკვირვებით უნდა იქნეს წარმოებული. როდესაც მასწავლებელს არსებითი სახელის გარშემო უნდა აწარმოოს მუშაობა, იგი მიმართავს კლასს: — დამისახელეთ საგნები! ზმნაზე მუშაობის დროს მოითხოვს მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელებას, ზედსართავი სახელის გასაცნობად — თვისების აღმნიშვნელი სიტყვების ჩამოთვლას და ა. შ. როგორც ვხედავთ, აქ ადგილი არ აქვს გრამატიკული წესების ფორმულირებას. მთავარია მაგალითების დასახელება. რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ დაწყებით სკოლაში გრამატიკული წესები არ უნდა ისწავლებოდეს: ეს იქნებოდა პრაქტიკის მოწყვეტა თეორიისაგან. რა არის ქვემდებარე, შემასმენელი, არსებითი სახელი, ზმნა და სხვა?—ამ ცნებათა შესახებ ბავშვებს უსათუოდ უნდა მიეცეს გრამატიკული განმარტებანი, მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს: ა) გრამატიკული წესის დასწავლა დაწყებით სკოლაში მეორე და მესამეხარისხოვანი საქმეა, პირველ რიგში საჭიროა სიტყვების კატეგორიებად დაჯგუფება მნიშვნელობის მიხედვით, ხოლო გრამატიკული წესი ანუ ლოგიკური განმარტება დაზეპირებულ უნდა იქნეს ხანგრძლივი პრაქტიკული მუშაობის შედეგად, ბ) ყოველი წესი უნდა იყოს მარტივად, მდაბიოდ ფორმულირებული. მაგ., საგნის სახელს არსებითი სახელი ეწოდება, ზმნა მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვაა და ა. შ., გ) ყოველი გრამატიკული წესის ცოდნის საფუძველზე ბავშვს უნდა შეეძლოს შესაფერი მაგალითების უხვად მოყვანა. შეთვისების ხარისხის შესამოწმებლად ამ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სასვენი ნიშნების მართებულად ხმარების საკითხიც მეტად მნიშვნელოვანია. პირველ ადგილზე აქაც პრაქტიკა უნდა იყოს დაყენებული, ხოლო თეორიული დასკვნა ხანგრძლივ მუშაობას უნდა მოჰყვეს. მთელი მუშაობის დასაყრდენს ლოგიკური მომენტი უნდა წარმოადგენდეს. მაგალითად, კითხვითი წინადადების ბოლოში კითხვის ნიშანი იმიტომ უნდა დაისვას, რომ წინადადების შინაარსი შეკითხვას შეიცავს. დაწყებითს სკოლაში ენაზე მუშაობისათვის ცალკე საათები არ არის გამოყოფილი: გრამატიკის სწავლება ლიტერატურულ მასალაშია ჩაქსოვილი. დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვს არ შეუძლია საათის განმავლობაში განყენებულად იმუშაოს გრამატიკაში. ამიტომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს გამოზომილი გრამატიკის სწავლებისათვის საჭირო დრო. დროს რაოდენობა უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა იმის მიხედვით, თუ რომელ კლასში ასწავლის (თუ მეორე კლასში რამდენიმე წუთი იქნება საკმარისი, უფრო კლასებში დროს ეს რაოდენობა გაიზრდება).

საშუალო სკოლაშიც გრამატიკაზე მუშაობისას გამოსავალი წერტილი ენობრივი ფაქტების მოყვანა და გაანალიზება უნდა იყოს. ანალიზი სრულდება გრამატიკული წესის გამოყვანით. შემდეგ იმავე გაკვეთილზე ახსნილ წესზე მოწაფეებმა უნდა მოიყვანონ მაგალითები. ბოლოს მოწაფეებს ეძლევა საშინაო დავალება (მაგალითების მოყვანა როგორც ლიტერატურული წყაროებიდან, ისე ცოცხალი სალაპარაკო ენიდან).

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა მასწავლებელი მოწაფეებს ჯერ გრამატიკულ წესს აცნობს და მერე წესის გასამართლებელ მაგალითებს უსახელებს, რაც გაკვეთილს ლექციის ხასიათს აძლევს. მოწაფეთა თვითმოქმედებას ახშობს, მასწავლებლის აქტივობა ამ შემთხვევაში მთელ კლასს პასიურ მდგომარეობაში აყენებს.

დაუშვებელია, რომ გრამატიკის ყოველ გაკვეთილზე ახალ-ახალი მასალა მუშავდებოდეს და ახალი ენობრივი წესები ისწავლებოდეს, გაკვეთილის ნაწილი წინა გაკვეთილებზე ახსნილი წესების განმტკიცებას და ახალი ენობრივი ფაქტებით დასაბუთებას უნდა დაეთმოს. გაკვეთილი დაიწყება საშინაო დავალების შესრულების შემოწმებით. ახსნილი მასალის შეთვისების ხარისხის გამოკვლევის შემდეგ საკლასო მუშაობა ღებულობს ამა თუ იმ ხასიათს: ან ხდება ძველი მასალის გაშლა-გაღრმავება ანდა, მასწავლებელი გადადის ახალი მასალის ახსნაზე. უმეტეს შემთხვევაში, მასწავლებელს წინდაწინ შეუძლია გამოზომოს საჭირო იქნება ისევ ძველ მასალაზე შეჩერება, თუ ახალი მასალის ახსნა. ამისათვის, ცხადია, ის კარგად უნდა იცნობდეს თავის მოწაფეების მომზადებას და ამის მიხედვით აწარმოებდეს მუშაობას.

**ვარლამ ხუროძე.**

## საბჭოთა კავშირში

★ საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოში არჩევნების დღეებში კინო ფაბრიკა „მოსფილმის" მიერ გამოშვებულ იქნა დიდი ხმოვანი მხატვრული ისტორიულ-რევოლუციური სურათი „ლენინი ოქტომბერში", რომლის სცენარიც ეკუთვნის ა. კაპლერს, რეჟისორია მ. რომი, მთავარ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ბ. ვ. შჩუკინი.

ამ შესანიშნავმა ფილმმა დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვში. მაყურებლის წინ ეკრანზე მიჰქრიან ამაღელვებელი ისტორიული სცენები: **ლენინის ჩამოსვლა საზღვარგარეთიდან პეტროგრადში, მისი შეხვედრა სტალინთან, ცენტრალური კომიტეტის ისტორიული სხდომა.**

ამ დიად ისტორიულ ეპოქის ბოლო სცენებში ნაჩვენებია იერიში ზამთრის სასახლეზე — რუსეთის კაპიტალიზმის ამ უკანასკნელ დასაყრდენზე, და დაპატიმრება დროებითი მთავრობისა. **ლენინი ამბობს თავის ისტორიულ სიტყვას.**

პრესა დიდად აფასებს „მოსფილმის" ამ მიღწევას და იბეჭდება ნაწყვეტები სცენარიდან.

★ საბჭოთა კომპოზიტორები (რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ორდენოსანი დ. ი. არაყიშვილი და სხვები) ისტორიულ დღეებთან — საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით სწერენ მუსიკას ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემქმნელ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადზე, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემქმნელ დიდ **სტალინზე.**

★ მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერეის დარბაზები, სადაც გამოფენილია საქართველოს მხატვართა და მოქანდაკეების ნამუშევრები, ყოველ დღეს სავსეა მნახველებით. გამოფენა უკვე დაათვალიერა 43 ათასმა მუშამ, მუშა-ქალმა და მოსამსახურემ, წითელი არმიის მებრძოლებმა და უფროსებმა, მხატვრებმა, სწავლულებმა, ინჟინრებმა, სტუდენტებმა და სხვებმა.

საყოველთაო ყურადღებას იქცევს გამოფენის მთავარი ადგილი — „საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის", მნახველები დიდხანს ჩერდებიან და ეცნობიან სურათებს და ქანდაკებებს, რომლებიც აცნობენ ამხანაგ **სტალინის** ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

★ ლენინგრადის კარტოგრაფიული ფაბრიკა უშვებს მთელ რიგ ახალ გეოგრაფიულ რუკებსა და ატლასებს.

13 რუკა მსოფლიოს საბჭოთა ატლასის განმეორებითი ტირაჟისათვის და რუკების 400.000 კომპლექტი „სსრკ ისტორიის მოკლე კურსის" მეორე გამოცემისათვის დაიბეჭდება დეკემბერში.

უკვე მზადდება და 1938 წლის პირველ კვარტალისათვის გამოვა „სსრკ უბის ატლასი", მისი მთელი ტირაჟის (100.000 ეგზემპლარი) ბეჭდვა დამთავრდება 1938 წლის დამლევისათვის.

დასაბეჭდად გამზადებულია და 1938 წლის პირველ ნახევარში გამოვა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის საცნობარო რუკა 20 ფურცელზე.

—◇—

## ესეც ხელმძღვანელობაა?

განათლების სახ. კომისარიატის დადგენილება რაიონებში სსრკ ისტორიის მასწავლებელთა კურსკონფერენციების ჩატარების შესახებ ჯერ მხოლოდ საქმეში აქვს ჩაკერებული ცხაკაიას განათლების განყოფილებას. ამ მხრივ მას არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადუდგამს.

როდესაც განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მიქაძეს შეეკითხნენ მასწავლებლები, თუ როგორი და რით (სკოლებს არ აქვს სახელმძღვანელოები, რუკები, სქემები და სხვ.) ვასწავლოთ ისტორიაო, მან უპასუხა: „ამის შესახებ არაფერი არ ვიცი, როგორც გინდათ ისე ასწავლეთო".

ესეც ხელმძღვანელობაა?

**შ. ძაძამია**

## არ ჰყავთ ისტორიის მასწავლებელი

ხაშურის პედსასწავლებელს დღემდე არ ჰყავს ისტორიის მასწავლებელი.

— მასწავლებელი ვერ ვიშოვეთ და ჩემი რა ბრალიაო — აცხადებს სასწავლებლის დირექტორი ამხ. კალანდარიშვილი.

განსახკომმა მაინც იზრუნოს ამ საკითხზე.

**ქ. მახვილაძე**



ორდენოსანი მოწაფე ეთერი გვანცელაძე ესაუბრება ამხანაგებს თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ დღეზე — კრემლში მიღებაზე.

## გოლო მოელოს კანონის დამახინჯებას

(რედაქციაში შემოსულ წერილების მიხედვით)

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა უდიდესი მზრუნველობით და გულისხმიერებით ეკიდება ჩვენი პარტია და ხელისუფლება მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო - მატერიალური პირობების დღითიდღე გაუმჯობესების საქმეს. ყოველწლიურად იზრდება მასწავლებელთა ხელფასი, სოფლის დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს ეძლევათ კომუნალური მომსახურების თანხები. ამასთანავე განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ხელფასისა და კომუნალური მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხების დროზე გაცემას.

მაგრამ ჯერ კიდევ არის მრავალი მაგალითი, როცა უხეშად მახინჯდება კანონი, — მასწავლებლებს ხელფასი არ ეძლევათ თავის დროზე, არ იწევათ კომუნალური მომსახურება, ზოგ შემთხვევაში კი იგი თვითნებურად შემცირებულია.

დუშეთის რაიონში მასწავლებელთა ხელფასის დაგვიანებით გაცემამ თითქმის სისტემატური ხასიათი მიიღო. ამ რაიონის მასწავლებლობამ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის ხელფასი ნაცვლად 20 ოქტომბრისა 28 ოქტომბერს მიიღო, ნოემბრის თვის ხელფასი კი—4 დეკემბერს; ჰქონდა შემთხვევაც ადგილი, რომ განათლების განყოფილების გამგე მ. კიკნაძე ხელფასის გაცემის დროს ერთი კვირით თბილისში წავიდა, ხოლო სკოლის დირექტორები მას მისი კაბინეტის კარებთან ხელმოუწერელ საბანკო ჩეკებით ელოდნენ.

სოფელ ჭიორის არასრულ საშუალო სკოლის მასწავლებლებს დღემდე არ მიუღიათ ოქტომბრისა და ნოემბრის თვის ხელფასი. ამ სოფელში არც კომუნალურ მომსახურებაზე ფიქრობენ. მიმდინარე წელს არცერთ მასწავლებელს არ მიუღია კომუნალური დახმარება.

გასულ წელს ყაზბეგის რაიონში სოფ. გერგეთში მასწავლებლობდნენ ალექსანდრე და ლეონიდა მიქაძეები. „ივნისის თვის ხელფასი და მთელი წლის კომუნალური მომსახურება ჯერაც არ მიგვიღია" იწერებიან ეს მასწავლებლები. სოფ. ანდრიაწმინდის (ახალციხის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის ზოგიერთ მასწავლებელს გასულ წლის თვეების არც ხელფასი და არც კომუნალური მომსახურება არ მიუღია.

კომუნალური მომსახურების საკითხში უსულგულობას იჩენენ აგრეთვე ხაშურისა და ზესტაფონის რაიონები. ადლიის სასოფლო საბჭოში (ხაშურის რაიონი) მთელ რიგ სკოლების მასწავლებლებს 3—4 წლის კომუნალური დახმარება ჯერაც არ მიუღიათ. მარტო ამ სოფლის საბჭოში მასწავლებელთა კომუნალური დახმარების დავალიანება 6.000 მანეთს აღწევს.

ხელფასის გაცემის მხრივ არც სალიკვიდაციო სკოლებში არის მაინცდამაინც კარგი მდგომარეობა. გათუმის რაიონის სოფ. გონიოს, აჭარის ალმართის და თხილნარის სასოფლო საბჭოებში სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებლებს სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის თვის ხელფასი დღემდე არ მიუღიათ.

ზოგ რაიონში ამითაც რომ არ დაკმაყოფილდნენ, მასწავლებელთა ხელფასის მითვისება და მომატებადაკლებაც კი დაიწყეს. აი, რას იწერება სოფ. საყდრიონის (თიანეთის რაიონი) არასრულ საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ჩიტაია: „ჩვენი სკოლის დირექტორმა ერემია ცენტერაძემ ოქტომბრის თვის ხელფასიდან 38 მანეთი დამაკლო. მე შევეკითხე რაში იყო საქმე. მან მიპასუხა, რომ ნოემბრის თვეში გამოგიწერ ამ დანაკლისსო. მართლაც, ნოემბრის თვეში ამინაზღაურა დანაკლისი, მაგრამ ახლა ნოემბრის თვის ხელფასიდან დამიკავა 92 მან. 64 კაპ. ამას ცენტერაძე იმით ამართლებს, რომ „ეს განათლების განყოფილების ბრალია"-ო.

— რას გავს ეს? რას აკეთებს თიანეთის რაიონის განათლების განყოფილება?!

როგორც ჩანს, ზოგ რაიონში ჰგონიათ, რომ კანონები ბრიყვებისათვის იწერება!

მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ბოლო უნდა მოეღოს თვითნებობას მასწავლებელთა ხელფასისა და კომუნალური მომსახურების გაცემის საქმეში.

**ი. ნ.**

## ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ

### მოკლე ცნობები

● ბეიპინ-ხანკოუს რკინისგზის სექტორში ბრძოლები სწარმოებს სამი კილომეტრის დაშორებით ქალაქ პუიანიდან (ხებეის პროვინციის სამხრეთით). ჩინეთის ჯარებმა იაპონელები გარეკეს ქ. უანიდან (ხენანის პროვინციის ჩრდილო ნაწილში). ცენტრალურ ჩინეთში ქ. სუჩეოუსთან (ნანკინ-შანხაის რკინის გზაზე) ჩინეთის ჯარების ცალკეული ნაწილები იაპონელთა მთავარი ძალების ზურგში აწარმოებენ შეუპოვარ ბრძოლებს. ამის გამო შანხაიდან ნანკინში გაგზავნილი იაპონელთა ტრანსპორტი, რომელსაც საომარი მასალა მიჰქონდა, უკან დაბრუნდა. ბრძოლები სწარმოებს აგრეთვე ცზიანსის რაიონში (შანხაი-ხანჩეოუს შარაზე); ამ რაიონში მოქმედებენ გუანდუნის პროვინციიდან მოსული ჩინეთის ჯარები.

● იაპონიის ფაშიზმი მიისწრაფის ხელისუფლებისაკენ. ფაშისტების ერთერთი ხელმძღვანელთაგანი, რომელმაც ამასწინად დაიკავა შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილი —ადმირალი სუეცუგუ, როგორც გაზეთები ამბობენ, იქნება მთავრობის თავმჯდომარედ, დადის ხმები აგრეთვე, რომ ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ხიროტა გადადგება და ამ ადგილისათვის გზას გაუხსნის ფაშისტების მეორე ლიდერთაგანს — გენერალ ტატეკავას.

● იაპონელთა თავხედური მოქმედებანი უცხოელების წინააღმდეგ ჩინეთში — დიდ შეშფოთებას იწვევს ინგლისსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში.

ამ უკანასკნელმა უკვე გაგზავნა იქით დამატებითი სამხედრო გემები. ინგლისის გაზეთების ცნობით, ინგლისში ფიქრობენ, რომ თუ შეერთებული შტატები გაგზავნიან სამხედრო-საზღვაო ძალებს ჩინეთის წყლებში, ასევე მოიქცევა ინგლისის მთავრობაც. ინგლისს არ შეუძლია წავიდეს ჩინეთიდან და გულწრფელად სჯეროა ინგლის-ამერიკის შეერთებული მოქმედების შესაძლებლობა შორეულ აღმოსავლეთში.

● ამერიკელ მხატვართა ლიგამ მოაწყო სურათების გამოფენა, რომლის თემაც არის ესპანეთისა და ჩინეთის ხალხთა ბრძოლა დემოკრატიისათვის.

● გაიფიცნენ პარიზის მაღაზიების მოსამსახურენი — ნიშნად პროტესტისა პატრონების წინააღმდეგ, რომელთაც განიზრახეს გადაესინჯათ შრომის ხელფასი, კოლექტიურ ხელშეკრულებათა მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

● საფრანგეთში 15 დეკემბერს პოლიტიკურმა პოლიციამ პარიზში მოახდინა ორი ახალი დაპატიმრება ფაშისტური შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით. ერთ დაპატიმრებულთაგანს — გარაჟის პატრონს, ავიაციის თადარიგის ოფიცერს — ეახლოს გარაჟის ქვეშ ჰქონდა ბეტონირებული საიდუმლო სარდაფი, საიდანაც ამოიღეს 7 ტონა სამხედრო მასალა და იარაღი.

● ესპანეთის რესპუბლიკის ყოფილი გენერალური სამხედრო კომისარი ალვარეს დელ ვაიო დაინიშნა ელჩად პარიზში, ესპანეთის ახლანდელი ელჩი პარიზში გადაჰყავთ არგენტინაში.

● ესპანელმა მეამბოხეებმა ქ. საკაში, სადაც ამას წინად მოხდა ჯარისკაცთა აჯანყება — დახვრიტეს 200 აჯანყებული. დახვრიტეს აგრეთვე 14 ჯარისკაცი და ორი უნტერ-ოფიცერი, რომლებმაც უარი განაცხადეს ამხანაგების დახვრეტაში მონაწილეობაზე. დახვრეტა მიანდეს იტალიელებსა და მაროკოელებს.

● 15 დეკემბერს რესპუბლიკელებმა დაიწყეს შეტევა მეამბოხეთა წინააღმდეგ და დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს ტერუელის ფრონტზე. მათ წაართვეს მრავალი სოფლები, სიმაღლეები და სხვა გამაგრებული პოზიციები. რესპუბლიკელთა ჯარი გარს შემოერტყა ქ. ტერუელს. გადაჭრილია ყველა გზა, რომლებიც ტერუელს მეამბოხეთა ბაზებთან აკავშირებენ. შეტევა გრძელდება.

● პრაღის სამხარეო სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ადოლფ პულიხს შპიონაჟისათვის მიუსაჯა 18 წლით პატიმრობა და ჯარიმა 5000 ჩეხოსლოვაკური კრონი.

● ლიეჟში (ბელგია) დააპატიმრეს უნტერ-ოფიცერი უბი, რომელმაც ვინმე გენრიეტა სტევენს (უკვე დაპატიმრებულია) გადასცა სამხედრო საიდუმლოებანი. სტევენი გამოტყდა, რომ მას კავშირი ჰქონდა გერმანიის გესტაპოს ორ აგენტთან — ეროვნებით ჰოლანდიელებთან.

## ჩვენი სიგნალის შემდეგ

★

### „მატრიკულებს არ გვაძლევენ"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის ა.-წ. 24 ოქტომბრის № 99-ში გამოქვეყნდა შენიშვნა. შენიშვნის ავტორი ამხ. ს. ოჩიგავა წერდა, რომ „ბათუმის პედინსტიტუტის 1-ლ და მე-2 კურსის სტუდენტებს დღემდე არ აქვთ მატრიკულები, რაც სტუდენტობაში იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას"-ო.

აჭარის განსახკომის მოადგილე ამხ. ვანილიში გვაცნობებს: „მეორე კურსის სტუდენტებს მიღებული აქვთ მატრიკულები, ხოლო პირველი კურსის სტუდენტებზე მათის გაცემა დაიწყო 21 ნოემბრიდან".

★

### „გვაღირსეთ ისტორიის მასწავლებელი"

შენიშვნა, რომელიც ამ სათაურით გამოქვეყნდა, ჩვენი გაზეთის ა.-წ. 12 ნოემბრის № 105-ში, შეეხებოდა ზედასაზანოს (ჩხარის რაიონი) საშუალო სკოლას, სადაც არ ჰყავთ ისტორიის მასწავლებელი.

ჩხარის რაიონის განათლების განყოფილება გვწერს, რომ საზანოს საშუალო სკოლაში ამჟამად ისტორიის საათები არ ცდება. ამ საგანს შეთავსებით ასწავლიან უმაღლესი განათლების მქონე კომკავშირელი მასწავლებლები.

★

### „პასუხი უნდა აგონ".

ამ სათაურით გამოქვეყნებული კორესპონდენცია (იხ. „კომუნისტური განათლების" ა-წ. 21 ოქტომბრის ნომერი) შეეხებოდა ზესტაფონის რაიონის სოფ. არგვეთის არასრული საშუალო სკოლის მშენებლობას.

ზესტაფონის რაიაღმასკომი გვაცნობებს, რომ გამოქვეყნებული წერილი სიმართლეს შეეფერება. კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია სკოლის მშენებლობის მიმდინარეობა, აღნიშნა, რომ მშენებლობა დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობდა, უპასუხისმგებლოდ და არადანიშნულებისამებრ იხარჯებოდა თანხები, სამშენებლო მასალები სხვა რამეს ხმარდებოდა, ადგილი ჰქონდა აგრეთვე გაფლანგვასა და კომბინაციებს.

ამის გამო არგვეთის სკოლის მშენებლობის ხელმძღვანელი ტექნიკოსი გუმბერიძე მოიხსნა სამუშაოდან. ტექნიკოს გოგიჩაძის საქმე კი გამორკვევისათვის გადაეცა რაიონის პროკურორს. მშენებლობის ხელმძღვანელად დაინიშნა ტექნიკოსი გუგუ დამენია.

—◇—

## მხოლოდ საძირკველი

დიდიხანია დაიწყო სოფ. ზედასიმონეთში (ჩხარის რაიონი) საშუალო სკოლის მშენებლობა. მაგრამ ჯერ კედლები მიწას არ აშორებია, მშენებლობისათვის შეძენილი მასალა კი განიავებულია, რაც ადგილობრივ სასოფლო საბჭოს ნაკლებად აღელვებს.

რაიონულმა ხელმძღვანელობამ საჭირო ზომები უნდა მიიღოს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანისათვის, თორემ მომავალი სასწავლო წლისათვისაც არ ექნება ადგილობრივ საშუალო სკოლას შენობა.

**ვ. გაჩეჩილაძე.**

## მასწავლებლის სახლში

(ფურცელაძის ქ. № 3)

21 დეკემბერს, საღ. 8 საათზე შესდგება უკანასკნელი ლექცია ციკლიდან: **„შოთა რუსთაველი"**. ლექტორი პროფ. ალ. ბარამიძე.

22 დეკემბერს, საღ. 8 საათზე შესდგება ამხ. ნიკო მაკალათიას ლექცია — „ქრისტიანობის წარმოშობა".

დასწრება თავისუფალია.

**სარედაქციო კოლეგია.**

მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 3, გაზ. „კომუნისტური განათლების" რედაქცია, ტელეფონები: პ.-მგ. რედაქტორის და პ.-მგ. მდივნის 3—67—47.

სილ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 32897.